

განმარტებითი ბარათი
„საქართველოს თავდაცვის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“
საქართველოს კანონის პროექტის მიმართ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

შეიარაღებულ ძალებში დღეს მოქმედი რედაქციით გათვალისწინებულია მხოლოდ სახმელეთო და სამხედრო-საჰაერო ძალები.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობის დაზუსტება და ამ შემადგენლობაში თავდაცვის სამინისტროს მთელი სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა ასახვა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციით საქართველოს სამხედრო ძალები შედგება სახმელეთო ჯარებისგან და სამხედრო-საჰაერო ძალებისგან. წარმოდგენილი კანონპროექტით სახმელეთო ჯარებთან და სამხედრო-საჰაერო ძალებთან ერთად, შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში აისახება საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, მათ შორის თავდაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სამხედრო მოსამსახურეებისაგან.“

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

წარმოდგენილი კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფო საბიუჯეტო ხარჯების ზრდას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო საბიუჯეტო ხარჯების ზრდას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

წარმოდგენილი კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

წარმოდგენილი კანონპროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება აღნიშნული კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)
წარმოდგენილი კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
წარმოდგენილი კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

წარმოდგენილი კანონპროექტი არ უკავშირდება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს;

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ვალდებულებებს;

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

აღნიშნული კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით არ გამართულა კონსულტაციები არც ერთ ზემოთხსენებულ დაწესებულებასთან თუ ექსპერტებთან;

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტის შეფასება;

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა.